აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

ბრძანება №01/46

2024 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 1 აგვისტოს №01/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის №20 დადგენილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 1 აგვისტოს №01/51 ბრძანებით (ვებგვერდი, 05/08/2022; 010340000.33.062.016129) დამტკიცებულ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1 -ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) ,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) სამინისტროს აპარატი;“;

ბ) ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი;“.

2) დანართი 1.1-ის

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამინისტროს აპარატის დებულება“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. სამინისტროს აპარატის სტრუქტურა

სამინისტროს აპარატის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

ა) საქმისწარმოების სამმართველო;

ბ) ინსპექტირების სამმართველო.“;

გ) მე-2 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. სამინისტროს აპარატის ამოცანები და უფლებამოსილებები“;

დ) მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სამინისტროს აპარატის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებებია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში მინისტრისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო მომსახურების გაწევა (მინისტრის შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება, მინისტრის სახელზე შემოსული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალებისა და ინფორმაციის მინისტრისათვის ოპერატიულად მოხსენება, მინისტრის დავალებებისა და ბრძანებების შესრულების კონტროლი, მინისტრის სათათბირო ორგანოების სხდომების ორგანიზება და მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი უზრუნველყოფა და სხვა);

ბ) მინისტრის ურთიერთობის ხელშეწყობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა ინსტიტუტებთან და კოორდინაციისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელება;

გ) სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ სუბიექტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) სამინისტროს საქმიანობის ანგარიშის მომზადება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების ჩართულობით;

ე) სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მათი მიწოდება;

ვ) პრესისა და მედიის მიმოხილვისა და ანალიზის მომზადება;

ზ) ოფიციალური ვებგვერდებისა და სოციალური ქსელებისთვის შესაბამისი კონტენტის შექმნა და ადმინისტრირება, ინტერაქციის უზრუნველყოფა;

თ) სამინისტროს შრომის შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროს საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი და რეალიზაცია;

კ) სამინისტროს საქმიანობის პროტოკოლური უზრუნველყოფა;

ლ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

მ) საჭიროების შემთხვევაში თანამდებობის პირებთან მოქალაქეთა შეხვედრების ორგანიზების უზრუნველყოფა;

ნ) სამინისტროს თანამშრომელთა, სამინისტროს სისტემაში შემავალ სუბიექტთა და სამინისტროს ვიზიტორთა დაშვების მიზნით საშვების სისტემის მართვა;

ო) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ინსპექტირების ჩატარება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მინისტრისთვის წარდგენა;

პ) მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებით დადგენილ შემთხვევებში და წესით დისციპლინური წარმოების ჩატარება;

ჟ) კანონმდებლობითა და მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, აგრეთვე, მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მითითებათა და ცალკეულ დავალებათა შესრულება.

2. სამინისტროს აპარატი მისთვის განსაზღვრულ ამოცანებს ახორციელებს მის დაქვემდებარებაში არსებული სამმართველოების მეშვეობით.";

ე) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამინისტროს აპარატის სამმართველოების ფუნქციებია:";

ვ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3) დანართი 1.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი 1.3

ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის სტრუქტურა

ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

ა) ბიზნესის ხელშეწყობის სამმართველო;

ბ) ეკონომიკური ანალიზისა და დარგობრივ საკითხთა სამმართველო;

გ) სტატისტიკის სამმართველო.

მუხლი 2. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ამოცანები და უფლებამოსილებები

1. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკური პროცესების ანალიზი, ეკონომიკაში არსებული პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო წინადადებების მომზადება;

ბ) სახელმწიფოს მიერ ინიციირებულ სხვადასხვა ეკონომიკურ და საინვესტიციო პროგრამაში აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების და ასევე, აფხაზეთში მცხოვრებ პირთა ჩართულობის ხელშეწყობა;

გ) ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ფორუმებში, სემინარებსა და სხვა ამ სახის ღონისძიებებში ჩართულობა და დევნილ მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

დ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ბიზნესპროექტების განხორციელებისა და საგრანტო დაფინანსების მოპოვებაში ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ინიციირებულ ბიზნეს წინადადებებისა და პროექტების შემუშავებაში საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა და პოტენციური ინვესტორების მოძიებაში ხელშეწყობა;

ვ) ეკონომიკის დარგში დასაქმებული სუბიექტების საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების ხელშეწყობა;

ზ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი;

თ) მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების, სახელმწიფო ქონების მართვის მიმართულებებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;

ი) აფხაზეთის ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და წარმართვის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება;

კ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში/დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ინიციირება და მხარდაჭერა. შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო და არასამთავრობო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

მ) სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებული დარგების – სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, წარმოებისა და მომსახურების, ტრანსპორტის, ლოჯისტიკის, გარემოს დაცვის, სატყეო ფონდის და სხვა დარგის – განვითარების მიზნით, წინადადებების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება. კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ დარგებში მოქმედი ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება;

ნ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი და ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და რეაგირება არსებული მექანიზმების გამოყენებით;

ო) ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებებში მონაწილეობა;

პ) კანონმდებლობითა და მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, აგრეთვე, მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მითითებათა და ცალკეულ დავალებათა შესრულება.

2. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი მისთვის განსაზღვრულ ამოცანებს ახორციელებს მის დაქვემდებარებაში არსებული სამმართველოების მეშვეობით.

3. ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის სამმართველოების ფუნქციებია:

ა) ბიზნესის ხელშეწყობის სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

ა.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამეწარმეო გარემოსთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების შესახებ წინადადებების მომზადება და ამ მიზნით ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებთან, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნეს-გაერთიანებებთან თანამშრომლობა, კონსულტაციებისა და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

ა.ბ) კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების და ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების ჩართულობის ხელშეწყობა ქვეყანაში გამოცხადებულ შესაბამის პროექტებსა და პროგრამებში;

ა.გ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, მათ მიერ შემუშავებული პროექტების

სრულყოფასა და საკონკურსო-სააპლიკაციო განაცხადების შედგენაში დახმარების გაწევა;

ა.დ) კომპეტენციის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებული პირების მიერ ინიციირებული, შემუშავებული და ექსპერტულად მოწონებული პროექტების ფინანსური იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ურთიერთობების წარმოება საერთაშორისო, ადგილობრივ და არასამთავრობო დონორ ორგანიზაციებთან;

ა.ე) ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ფორუმებში, სემინარებსა და სხვა ამ სახის ღონისძიებებში ჩართულობა და დევნილ მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

ა.ვ) მცირე და საშუალო მეწარმეობის, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებებით ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება შესაბამისი კომპეტენციისა და არსებული რესურსების ფარგლებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;

ა.ზ) დევნილთა მიერ ინიციირებული სამეწარმეო პროექტების საერთო მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა;

ა.თ) სამინისტროს ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი სამეწარმეო პროექტების სრულყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით და მიღებული პროდუქტის პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზება;

ა.ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

ბ) ეკონომიკური ანალიზისა და დარგობრივ საკითხთა სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

ბ.ა) არსებული წყაროებისა და რესურსების საფუძველზე, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის ანალიზი და, გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;

ბ.ბ)წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციების მოძიება და ცალკეულ საკითხებზე ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ანალიტიკური მასალების მომზადება;

ბ.გ) სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ცალკეული ეკონომიკური საკითხების ანალიზი ან/და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი ცალკეული სექტორების, ქვესექტორების / დარგების, ქვედარგების მიხედვით;

ბ.დ) იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებზე წვდომის ხელშეწყობისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და განხორციელების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება;

ბ.ე) ეკონომიკური ანალიზის, დარგობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების მხარდაჭერის მიზნით თანამშრომლობა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის კერძო, საჯარო, საგანმანათლებლო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ.ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად მიმდინარე და ახალი პროგრამების/პროექტების განხორციელების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;

ბ.ზ) იძულებით გადაადგილებულ პირებთან საკონსულტაციო ურთიერთობების წარმართვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ბ.თ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიზნობრივი წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების კონტროლი;

ბ.ი) ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიმართულებით სიახლეებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო რეკომენდაციების მომზადება;

ბ.კ) სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებული დარგების – სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, წარმოებისა და მომსახურების, ტრანსპორტის, ლოჯისტიკის, გარემოს დაცვის, სატყეო ფონდის და სხვა დარგის – განვითარების მიზნით, წინადადებების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება. კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ დარგებში მოქმედი ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება;

ბ.ლ) აფხაზეთის ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და წარმართვის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება;

ბ.მ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკოცნობიერების ამაღლების მიზნით გარემოსდაცვითი და სატყეო დარგის თემატურ ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობა;

ბ.ნ) გარემოსდაცვითი და სატყეო დარგის განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობა, მიზნობრივი წინადადებების შემუშავება-განხორციელებაში ჩართულობა;

ბ.ო) გარემოსდაცვითი სფეროს სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობა: კლიმატის ცვლილება, ნარჩენების მართვის გეგმები, ბიომრავალფეროვნება და სხვა.

ბ.პ)კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

გ) სტატისტიკის სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

გ.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკური აღრიცხვის საქმიანობის კოორდინაცია;

გ.ბ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი;

გ.გ) სსიპ – „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა“ და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობა;

გ.დ) ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალობის უზრუნველყოფა, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას, ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა;

გ.ე) დადგენილი წესით სტატისტიკური კრებულებისა და ბიულეტენების გამოცემა;

გ.ვ) სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მიზნით, თანამშრომლობა სხვადასხვა სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან;

გ.ზ)კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.“.

4) დანართი 1.6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი 1.6

საფინანსო დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. საფინანსო დეპარტამენტის სტრუქტურა

საფინანსო დეპარტამენტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

ა) საფინანსო სამმართველო;

ბ) შესყიდვების სამმართველო;

გ) მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველო.

მუხლი 2. საფინანსო დეპარტამენტის ამოცანები და უფლებამოსილებები

1. საფინანსო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებებია:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონის საფუძველზე გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა, დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განაწილება და ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მომზადება სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;

დ)სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენა;

ვ) შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული, სამინისტროს სახელით გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მათში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მომზადება;

ზ) სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამინისტროს მოსამსახურეებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

2. საფინანსო დეპარტამენტი მისთვის განსაზღვრულ ამოცანებს ახორციელებს მის დაქვემდებარებაში არსებული სამმართველოების მეშვეობით.

3. საფინანსო დეპარტამენტის სამმართველოების ფუნქციებია:

ა) საფინანსო სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

ა.ა)წლიური საბიუჯეტო კანონის საფუძველზე გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

ა.ბ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;

ა.გ)სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა, დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განაწილება და ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მომზადება სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;

ა.დ)სამინისტროს კვარტალური და წლიური ბალანსების შედგენა, სამინისტროს გამგებლობაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების კვარტალური და წლიური კონსოლიდირებული ბალანსების შედგენა და წარდგენა;

ა.ე) საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში (https://www.etreasury.ge) მუშაობა;

ა.ვ) საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (https://edocument.ge) დოკუმენტბრუნვის წარმოება, შიდა და გასული წერილების, მოხსენებითი ბარათებისა და განცხადებების მომზადება.

ბ) შესყიდვების სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

ბ.ა) სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ.ბ) სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, წლიური შესყიდვების გეგმის შედგენა, კორექტირება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება;

ბ.გ) სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის, წლიური ან /და კორექტირებული გეგმის შესაბამის ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და მისი რეგისტრაცია სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

ბ.დ) სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი, თითოეული შესყიდვის ობიექტისთვის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) კლასიფიკატორის შესაბამისი კოდის (CPV) შერჩევა, შერჩეული კოდის მიხედვით შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენა, მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე შესყიდვის განხორციელების საშუალების შერჩევა;

ბ.ე) შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული, სამინისტროს სახელით გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მათში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მომზადება და შემდგომი მონიტორინგი;

ბ.ვ) შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში განხორციელების საკითხის შეთანხმება სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

ბ.ზ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების საერთო კოორდინაცია, შესყიდვების განხორციელებისას ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

ბ.თ) მინისტრთან შეთანხმებით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა;

ბ.ი) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებების შესრულება/შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვის უზრუნველყოფა;

ბ.კ) წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, სამინისტროს დამტკიცებულ გეგმებში საჭიროების მიხედვით ცვლილებების მომზადება და საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენა.

ბ.ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სატენდერო პროცედურების წარმართვა, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა და შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვა სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

ბ.მ) სამინისტროს შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და რისკების შემცირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და აღსრულება;

ბ.ნ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ.ო) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

გ) მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები:

გ.ა) სამინისტროს უძრავი და მოძრავი ქონების განაწილება, ასევე, მიღების, აღრიცხვის, დასაწყობების უზრუნველყოფა, პროცესის ზედამხედველობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება,

მათ შორის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების უზრუნველყოფა;

გ.ბ)სამინისტროს ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა/განაწილება, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის უზრუნველყოფა, ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება;

გ.გ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კანონმდებლობის შესაბამისად, დანიშნულების მიხედვით მათი განაწილება და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შედეგად წარმოშობილი ექსპლუატაციის ხარჯების კონტროლი;

გ.დ) სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შედგენის მიზნით, სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მოთხოვნების სავარაუდო მოცულობების განსაზღვრა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის წარდგენა;

გ.ე)სამინისტროს სასაწყობე მეურნეობის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ.ვ) სამინისტროს სასაწყობე მეურნეობის ელექტრონული მართვა, სისტემატური განახლება და დადგენილი წესით, ინფორმაციის პერიოდულობით მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის;

გ.ზ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით, სამინისტროს სარგებლობისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ორგანიზებასა და ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

გ.თ) შენობა-ნაგებობების, საინჟინრო სისტემების და კომუნიკაციების ტექნიკური მომსახურების, მათი ექსპლუატაციაში მიღების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა და ზედამხედველობა;

გ.ი) სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების უწყვეტი ელექტროენერგიით, გაზითა და წყლით მომარაგების უზრუნველყოფა და ტექნიკური მდგომარეობის ზედამხედველობა; სანიტარიულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის ორგანიზება;

გ.კ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროსთვის გადაცემული ჰუმანიტარული ტვირთის მიღების, დასაწყობების ორგანიზება და მათი აღრიცხვა;

გ.ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროში არსებულ საინვენტარიზაციო კომისიასთან ერთად, ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება; სამინისტროში არსებულ ძირითად საშუალებათა ბალანსიდან ჩამოწერისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

გ.მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ანგარიშების წარდგენა;

გ.ნ) სამმართველოში შემოსული კორესპონდენციის განხილვა, დამუშავება და რეაგირების მოხდენა;

გ.ო) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისთვის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მიწოდება;

გ.პ) კომპეტენციის ფარგლებში ბრძანების პროექტების მომზადება;

გ.ჟ) წლის განმავლობაში სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მოთხოვნილი მატერიალური ფასეულობების ანალიზი და მომდევნო წლის შესყიდვების გეგმაში მათი ასახვის მიზნით, დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდება;

გ.რ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების

შესრულების მიზნით, სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 12 აგვისტოდან.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის მინისტრი **ლევან თევზაია**